




UG კოლეჯის პროგრამების კატალოგი

2023-2024 სასწავლო წელი

ჩვენ შესახებ

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი 2019 წელს დაარსდა, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ. დღევანდელი მონაცემებით, უნივერსიტეტში 6000-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს. უმაღლესი განათლების მიმართულებით, უნივერსიტეტს აქვს სამივე საგანმანათლებლო საფეხური (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო), სწორედ ამის გამო, დამფუძნებლების იდეა იყო, დაეარსებინა პროფესიული კოლეჯიც.

პროფესიულ კოლეჯს ხელმძღვანელობს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, ინფორმატიკის პროგრამის ხელმძღვანელი და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სულხან სულხანიშვილი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო კოლეჯმა ფუნქციონირება სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით:



მოგვიანებით კოლეჯმა დაიმატა როგორც სხვა გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი პროგრამები.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც სტუდენტი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. კოლეჯის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივითაა უზრუნველყოფილი.

კოლეჯის პერსონალი მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალებისაგან შემდგარ გუნდს წარმოადგენს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი.


ამ ეტაპისთვის კოლეჯში ფუნქციონირებს 6 გრძელვადიანი და 4 მოკლევადიანი, მომზადებისა და გადამზადების პროგრამა.



აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად, კერძო და საჯარო სტრუქტურებთან ერთობლივი თანამშრომლობით, UG კოლეჯში დაინერგა კიბერუსაფრთხოების 6 თვიანი გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამა, რომელსაც უძღვებიან დარგის წამყვანი სპეციალისტები.



მისია, ხედვა და ღირებულებები



მისია

კოლეჯის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება. მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, კოლეჯი ისწრაფვის პროფესიული სტუდენტის თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით და უნარებით აღჭურვისკენ, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას და თვითრეალიზაციას.

ხედვა

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ხედვაა მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლების მაღალი ხარისხით გახდეს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება 2030 წლისთვის, რომელიც მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტებით უზრუნველყოფს შრომის ბაზარს.



კოლეჯის პარტნიორები

❖ ა(ა)იპ ინტერნეტის განვითარების ინიციატივა

❖ შპს გრინ სისტემს

❖ შპს ითვორქს

❖ შპს ლემონდუ ბიზნესი

❖ შპს მბს

❖ შპს პისი ქორნერ

❖ შპს სინტაქსი

❖ შპს ორიენტ ლოჯიკი

❖ შპს ჯი თი ჯგუფი

❖ შპს აიტისკრაფტი

❖ შპს სოფთლაინ საქართველო

❖ შპს მოზაიკა პლიუსი



საერთაშორისო თანამშრომლობა



UG კოლეჯი EfVET-ის წევრია ❤️🇺🇸

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი საერთაშორისო ორგანიზაციის EfVET – the European Forum of Technical and Vocational Education and Training - წევრი გახდა.

აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს სხვადასხვა კოლეჯებსა და ორგანიზაციებს, პროფესიული განათლების მიმართულებით. EfVET-ის წევრობა ჩვენთვის როგორც დამწყები კოლეჯისათვის საინტერესო გამოწვევაა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვიყოთ ლიდერები და დავენერგოთ ახალი მიდგომები პროფესიულ სწავლებაში!

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯი თანამშრომლობს Norwich University-ს უნივერსიტეტთან.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი პირველი კოლეჯია, რომელმაც შეძლო მემორანდუმის გაფორმება ამერიკის შეერთებული შტატების, ყველაზე რეიტინგულ უნივერსიტეტთან - Norwich University, რომელიც აერთიანებს როგორც უმაღლესი, ასევე, პროფესიული განათლების მიმართულებით სხვადასხვა პროგრამებს.

პარტნიორობის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის მიზანია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამებისა და ერთობლივი კვლევების განხორციელება; სხვადასხვა IT მიმართულების სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებების და პროექტების განხორციელება, ტრენინგები და მოკლევადიანი კურსები შეთავაზება ქართველი და საერთაშორისო სტუდენტებისათვის.





პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ვებტექნოლოგიები



პროგრამის მიზანია: ვებტექნოლოგიების სფეროს უზრუნველყოფა კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებით, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front_ის მხარე).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology

აღნიშნული კვალიფიკაცია „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც“.

დაშვების წინაპირობა



სრული ზოგადი განათლება

დასაქმება



- ვებდეველოპერი
- ვებგვერდის მხარდამჭერი სპეციალისტი
- ვებდიზაინერი

პროგრამის ხანგრძლივობა - 47 კვირა

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **63 კრედიტი**.
 პროგრამა მოიცავს 6 ზოგად და 9 დარგობრივ მოდულს.



ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	სამოქალაქო განათლება	2
5	მეწარმეობა 2	2
6	უცხოური ენა	5
სულ		17
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები	4
2	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	8
3	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება	7
4	დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	5
5	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	6
6	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება	5
7	ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით	3
8	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	3
9	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	5
სულ		46

შენიშვნა: იმ ჩარიცხული ჰირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული ჰირებისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 67 კვირას.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას
2. გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით
3. გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
4. მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
5. დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი
6. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები
7. მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით
8. შეიმუშაოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით
9. მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი
10. დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება
11. შექმნას ვებგვერდის მულტიმედია კონტენტი
12. შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.


შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი

კომპიუტერული ქსელი და სისტემები



პროგრამის მიზანია: კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems.

დაშვების წინაპირობა → სრული ზოგადი განათლება

დასაქმება



პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

პროგრამის ხანგრძლივობა - 69 კვირა

კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **95 კრედიტი**. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად და 15 დარგობრივ მოდულს.



№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	მეწარმეობა 2	2
3	უცხოური ენა - ინგლისური ენა	5
ჯამი:		10
№	დარგობრივი მოდულები	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	4
6	გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები	1
7	პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერული ქსელი და სისტემები	6
8	დარგობრივი ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები	6
9	Windows სერვერულ ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა	4
10	Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისების ბაზისური გამართვა	5
11	Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა	5
12	Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ბაზისური გამართვა	6
13	კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები	5
14	კომპიუტერული ქსელის დამისამართება	3
15	ბაზისური ქსელური სერვისების გამართვა	3
16	ბაზისური კომუნიკაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში	5
17	ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება	2
18	IT პროექტების მენეჯმენტი	3
ჯამი		85

შენიშვნა: იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 89 კვირას.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა;
2. Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
3. ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება;
4. ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება;
5. დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება;
6. ფაილური და ბეჭდვის სერვერის ბაზისური მართვა;
7. სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა.
8. Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა;
9. Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება;
10. Linux-ის ფაილური სისტემის მართვა;
11. კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა;
12. სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება;
13. დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება;
14. კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;
15. ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება



პროგრამის მიზანია: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში / Higher Vocational Qualification in Computer Network Administration.

დაშვების წინაპირობა → **სრული ზოგადი განათლება**

დასაქმება



პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან კერძო სტრუქტურაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ქსელური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების განხრით. აგრეთვე შეუძლია იმუშაოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან იყოს პროფესიული მასწავლებელი.

პროგრამის ხანგრძლივობა - 80 კვირა

კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **95 კრედიტი**. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად და 20 დარგობრივ მოდულს.



№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2	მეწარმეობა 3	3
3	უცხოური ენა (ინგლისური)	5
ჯამი:		11
№	დარგობრივი მოდულები	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	4
6	გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	1
7	საწარმოო პრაქტიკა - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	9
8	კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები	5
9	კომპიუტერული ქსელის დამისამართება	3
10	ბაზისური ქსელური სერვისების გამართვა	3
11	ბაზისური კომუტაცია და მარშრუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში	5
12	ქსელის გაფართოების უზრუნველყოფა	8
13	გლობალურ ქსელთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა	6
14	ქსელური უსაფრთხოება და მონიტორინგი	5
15	ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება	7
16	დარგობრივი ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელები	8
17	ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება	2
18	IT პროექტების მენეჯმენტი	3
19	მეორე დონის პროტოკოლები და ტექნოლოგიები	3
20	მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი (OSPF, EIGRP, Redistribution)	7
ჯამი		106

შენიშვნა: იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 100 კვირას.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის გამართვა;
2. EIGRP და OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლების კონფიგურაცია;
3. გლობალური ქსელის ტექნოლოგიების განსაზღვრა;
4. გამოყოფილი არხების გამართვა;
5. დაშორებულ ოფისებთან წვდომის ორგანიზება;
6. ქსელში შეცდომების იდენტიფიცირება/აღმოფხვრა
7. SNMP და Netflow პროტოკოლების კონფიგურირება;
8. წვდომის სიების (ACL) აგება და მართვა;
9. ვირტუალური კერძო ქსელის აგება;
10. ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამედროვე საფრთხეების გარჩევა;
11. ქსელური მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
12. ACL(Access Control Lists)-ების გაფართოებული კონფიგურირება;
13. ქსელური შეტევებისგან თავდაცვისთვის საჭირო თანამედროვე მეთოდების გარჩევა;
14. ლოკალური ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
15. ბრენდმაუერის კონფიგურირება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.


განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი

პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი



დასაქმება




პროგრამის მიზანია: მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების სფეროსათვის, რომელიც იქნება პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების სპეციალისტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგში / Higher Vocational Qualification in Software Developing

აღნიშნული კვალიფიკაცია „შეისწავლის კომპიუტერული სისტემებისა და გამოთვლითი/კომპიუტინგის გარემოს დიზაინსა და განვითარებას.“

დაშვების წინაპირობა



სრული ზოგადი განათლება

- პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი
- აპლიკაციების მხარდაჭერის სპეციალისტი
- პროგრამისტი/დეველოპერი
- მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი
- აპლიკაციების დეველოპერი

პროგრამის ხანგრძლივობა - 95 კვირა

პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **95კრედიტი**. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად და 9 დარგობრივ მოდულს.



ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	მეწარმეობა 3	3
2	უცხოური ენა	5
სულ		8
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	პროგრამული დიზაინის ნიმუშების შემუშავება	8
2	მონაცემთა ბაზის პროექტირება/მართვა	8
3	პარალელური პროგრამირება	5
4	პროექტის ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა	8
5	სტრუქტურული და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება	10
6	დარგობრივი ინგლისური	4
7	ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტი	4
8	ალგორითმის შემუშავება	4
9	უნიფიცირებული მოდელირების ენა	2
10	აპლიკაციის გამოქვეყნება და სამომავლო განვითარება	8
11	პროგრამული კოდის დაწერა აპლიკაციებისთვის და ვიზუალური ინტერფეისის აწყობა	10
12	ქსელური პროგრამირება Java ენაზე	8
13	საწარმოო პრაქტიკა - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარებაში	8
სულ		87

შენიშვნა: იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 67 კვირას.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მოახდინოს ამოცანის პროექტირება შემოქმედებითი დიზაინის (CreationalDesign), ქცევითი დიზაინის (BehavioralDesign) და სტრუქტურული დიზაინის (StructuralDesign) ნიმუშების მეშვეობით
2. შექმნას პროექტის პროგრამული დიზაინი და მონაცემთა ბაზები
3. იმუშაოს ფაილურ სისტემასთან, შემავალ და გამავალ ნაკადებთან
4. შექმნას პროექტის პროგრამული კოდი და გააანალიზოს არსებული პროექტი
5. შექმნას მარტივი პროგრამები დაპროგრამების კონსტრუქციებისა და მმართველი სტრუქტურების გამოყენებით
6. გააანალიზოს ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის პარადიგმები და მოახდინოს ამოცანის პროექტირება ობიექტზე-ორიენტირებული გზით
7. თარგმნოს სტრუქტურულ პროგრამირებასთან (C), ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებასთან (C#, Java) დაკავშირებული ტერმინები და მასალა
8. გადაწყვიტოს წრფივი დაპროგრამების ამოცანები და შექმნას ვიზუალური დიზაინი
9. წარმოადგინოს ამოცანის ამოხსნის შესაბამისი ალგორითმები სხვადასხვა სახით და შეაფასოს ალგორითმის ეფექტურობა
10. მოახდინოს პროგრამირების პარადიგმების ფორმულირება და იმუშაოს თვლის სისტემებთან
11. შექმნას დაპროგრამების კონსტრუქციები მმართველი სტრუქტურების გამოყენებით და იმუშაოს მონაცემთა სტრუქტურებთან
12. მოამზადოს აპლიკაციის არქივის ფაილი და მოახდინოს აპლიკაციის ექსპორტირება შესაბამისი სერტიფიკატებით ჩამოაყალიბოს ოპტიმალური შრომითი ურთიერთობები და მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით დამოუკიდებლად შეასრულოს პროფესიული ამოცანები.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი

ღონისძიების ორგანიზება




პროგრამის მიზანია: მოამზადოს ღონისძიების ორგანიზატორი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს, კოორდინირებასა და ორგანიზებას უწევს ყველა სახის ღონისძიების მომზადებასა და გამართვას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში / Secondary Vocational Qualification in Event Management

აღნიშნული კვალიფიკაცია „შეისწავლის ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ფუნქციონირებისა და საქმიანობის დაგეგმვას, ხელმძღვანელობასა და მუშაობას/ოპერირებას.“

დაშვების წინაპირობა



სრული ზოგადი განათლება

დასაქმება



- კონფერენციების და ღონისძიებების ორგანიზატორი სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურებში
- ქორწილების ორგანიზატორი
- ორგანიზატორი სადღესასწაულო და ტურისტულ ცენტრებში
- ორგანიზატორი კულტურულ და სპორტულ ასოციაციებსა და ფედერაციებში
- თვითდასაქმებული

პროგრამის ხანგრძლივობა - 40 კვირა

ღონისძიების ორგანიზებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **61 კრედიტი**. პროგრამა მოიცავს 5 ზოგად და 13 დარგობრივ მოდულს.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	უცხოური ენა	5
5	მეწარმეობა 2	2
სულ		15
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	წერილობით ტექსტთან მუშაობა	5
2	გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება	3
3	საქმიანი წინადადების მომზადება	4
4	ღონისძიების კონცეფციის შემუშავება	3
5	რესურსების მართვა	3
6	ღონისძიების გაფორმება და დიზაინი	4
7	ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობა	3
8	ღონისძიების კოორდინირება	4
9	ღონისძიების ფინანსური მართვა	3
10	ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება	3
11	პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება	4
12	პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა	4
13	პრაქტიკული პროექტი - ოფიციალური/საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება	3
სულ		46

შენიშვნა: იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 60 კვირას.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს სადღესასწაულო, სპორტულ/სანახაობრივ და ოფიციალურ/საქმიანი ღონისძიებები
2. კოორდინირება გაუწიოს ღონისძიების მოსამზადებელ სამუშაოებს
3. ურთიერთობა ჰქონდეს ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან
4. გაუკეთოს ორგანიზება ღონისძიების ტექნიკურ მომსახურებასა და უსაფრთხოებას
5. გაუკეთოს ორგანიზება ქორწილს;
6. გააფორმოს ღონისძიება და დიზაინი.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი

საოფისე საქმე



პროგრამის მიზანია: მოამზადოს კვალიფიციური ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work


აღნიშნული კვალიფიკაცია „შეისწავლის ადმინისტრაციულ პროცედურებსა და პრაქტიკას, საოფისე ტექნოლოგიებს, საკანცელარიო საქმეს, სტენოგრაფიასა და ბეჭდვის უნარებს. ასევე მოიცავს სპეციალიზირებულ საოფისე/სამდივნო პროგრამებს (ბილინგვური, სამედიცინო, იურიდიული, საბუღალტრო და ა.შ.), თუ მათი მიზანია საოფისე საქმე და არა სპეციალიზაციით მომუშავე თანამშრომლის მომზადება.“

დაშვების წინაპირობა



სრული ზოგადი განათლება

დასაქმება



პროგრამის ხანგრძლივობა - 41 კვირა

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **59 კრედიტი**. პროგრამა მოიცავს 5 ზოგად და 15 დარგობრივ მოდულს.



ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	უცხოური ენა	5
5	მეწარმეობა 2	2
სულ		15
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	წერილობით ტექსტთან მუშაობა	5
2	გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე	1
3	დოკუმენტების რეკვიზიტებისა და ბლანკების გაფორმება	2,5
4	კორესპონდენციის ორგანიზება	2,5
5	საინფორმაციო-საცნობარო დოკუმენტების წარმოება	2,5
6	ნორმატიული აქტების გამოყენება	2
7	მმართველობითი დოკუმენტების მომზადება	3
8	დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადება	5
9	ადმინისტრაციული ასისტირება	5
10	საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება	1,5
11	საოფისე შეხვედრებისა და ღონისძიებების დაგეგმვა	2
12	საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა	1
13	საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა	3
14	მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება	4
15	საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე	4
სულ		44

შენიშვნა: იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა. აღნიშნული პირებისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 61 კვირას.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები
2. მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში
3. აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე
4. მოამზადოს დოკუმენტების პროექტები
5. მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა
6. კოორდინირება გაუწიოს ორგანიზაციული ქვედანაყოფების საქმიანობას
7. უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებას შორის.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი

მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები

კიბერუსაფრთხოება / Cyber security



პროგრამის ტიპი: გადამზადება

კვალიფიკაციის დონე: 4 - პროფესიული გადამზადება

პროგრამის ხანგრძლივობა: 24 კვირა (6 თვე)

საკონტაქტო საათების რაოდენობა: 216 საათი

კვირული სასწავლო დატვირთვა: 9 საათი

პროგრამის მიზანი: მომზადდეს კიბერუსაფრთხოების დამწყები სპეციალისტები (junior cybersecurity specialists), რომელთაც ექნებათ საბაზისო ცოდნა და უნარები

კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში დასაქმებისთვის.

პროგრამის აღწერა: პროგრამა შედგენილია ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით არსებული კადრების დეფიციტის საპასუხოდ და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების დასაქმებაზე. პროგრამის ფარგლებში შეხვედრები იმართება კვირაში სამჯერ, თითოეულ შეხვედრაზე 3 აკადემიური საათის ხანგრძლივობით. სწავლება ხორციელდება სპეციალიზებულ, შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიაში. პროგრამის ფარგლებში მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება 4-ჯერ, 100 ქულიანი სისტემით შემდგენაირად: სამი 20 ქულიანი შუალედური შეფასება და 40 ქულიანი შემაჯამებელი შეფასება - პროგრამის დასრულების 24-ე კვირას. შუალედურ და შემაჯამებელ შეფასებებში შესაბამისი სწავლის შედეგები მიღწეულად ითვლება მსმენელის მიერ თითოეულ შეფასებაზე მაქსიმალური შეფასებიდან 50% მოგროვების შემთხვევაში.

პროგრამის სწავლის შედეგები:

1. კიბერუსაფრთხოების გარემოს ანალიზი
2. კიბერუსაფრთხოების ხელშემწყობი ჩარჩოების ანალიზი
3. კიბერინციდენტების, სისუსტეებისა და საფრთხეების კვლევა და ანალიზი
4. კიბერინციდენტების გამოვლენისა და პრევენციის სისტემების, ხელსაწყოების ანალიზი, მონიტორინგი
5. კიბერინციდენტებზე რეაგირება, ელექტრონული მტკიცებულებების დამუშავება
6. ოპერაციული სისტემების მართვა
7. პროგრამული უზრუნველყოფის მართვა
8. ქსელური ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მართვა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შერჩევა: საბაზო განათლება (9 კლასის), მოტივაციური გასაუბრება და




ა. ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებით მიღებული პროფესიული, მათ შორის მომზადება/გადამზადების პროგრამების ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა

ბ. ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულების შესაბამისი პოზიციაზე მუშაობის/სტაჟირების არანაკლებ 6 თვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა

„ა“ ან/და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში კოლეჯში ჩატარდება ტესტირება IT მიმართულებით საბაზისო საკითხების და ინგლისური ენის B1 დონის შესაბამისი (სფეროსთან კავშირში) ცოდნის შესამოწმებლად

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა სახელმწიფოს მიერ აღიერებული სერტიფიკატი

ფრონტენდ დეველოპმენტი / Front End Development (Advence)



პროგრამის ტიპი: გადამზადება

კვალიფიკაციის დონე: 3 - პროფესიული გადამზადება

პროგრამის ხანგრძლივობა: 13 კვირა (3.5 თვე)

საკონტაქტო საათების რაოდენობა: 112 საათი

კვირული სასწავლო დატვირთვა: 9 საათი

პროგრამის მიზანი: გადაამზადოს მსმენელები, „Front End development“-ის მიმართულებით კვალიფიციურ სპეციალისტებად. გამოუმუშაოს ის ცოდნა და კომპეტენციები, რომლის დახმარებითაც შეძლებენ ვებ გვერდის აწყობას თანამედროვე Framework-ების გამოყენებით, როგორცაა VUE.JS.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ორიენტირებულია დამწყები პირების გადამზადებაზე „Front End development“- ის მიმართულებით, დროის მოკლე მონაკვეთში. ყოველკვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა იქნება 9 საათი (განსხვავებულია მხოლოდ პირველი კვირა - 6 საათი, მე-9, მე-10, მე-11 კვირა - 10 საათი, მე-13 კვირა - 4სთ გამოცდა). ლექციები ჩატარდება კომპიუტერულ აუდიტორიაში (კოლეჯის B გარემოში). პროგრამის მიმდინარეობისას მსმენელები ფასდებიან პროგრამის დასრულებისას, ერთხელ. შეფასება მოიცავს შესწავლილი თემატიკის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას პროექტის მომზადებისა და წარდგენის გზით. პროგრამაზე გამოყენებული იქნება ისეთი სწავლის მეთოდები, როგორცაა: ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა.

პროგრამის სწავლის შედეგები:

1. შეუძლია VUE.JS Framework-ის ინსტალაცია npm-ის გამოყენებით
2. იცის VUE.JS Framework-ის სტრუქტურა
3. შეუძლია კომპონენტების შემუშავება
4. შეუძლია VUE.JS დირექტივების გამოყენება და საჭირო მოდულების ინსტალაცია
5. შეუძლია დროებითი და მუდმივი საცავების გამოყენება, გადამისამართების პარამეტრების დამუშავება და Middleware-ის დაყენება
6. შეუძლია BOOTSTRAP 5-ის ინტეგრაცია Framework-ში და მისი კლასების სწორად შერჩევა სხვადასხვა ზომის მოწყობილობებში გამართულად ფუნქციონირებისათვის.


პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:



პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა სახელმწიფოს მიერ აღიერებული **სერტიფიკატი**

ფრონტენდ დეველოპმენტი / Front End Development (Basic)

Front End Developer



პროგრამის ტიპი: მომზადება

კვალიფიკაციის დონე: 3 - პროფესიული მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა: 14 კვირა (3.5 თვე)

საკონტაქტო საათების რაოდენობა: 124 საათი

კვირული სასწავლო დატვირთვა: 9 საათი

პროგრამის მიზანი: „Front End development“-ის მიმართულებით მოამზადოს ისეთი კადრი, რომელსაც ექნება საბაზისო ცოდნა front end დეველოპინგში. აღნიშნული პროგრამა მსმენელს აძლევს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელიც შემდეგ დაეხმარება მას გაიდრმოს უნარები front end დეველოპინგის უმაღლეს საფეხურზე.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს პირები „Front End development“- ის მიმართულებით, დროის მოკლე მონაკვეთში. ყოველკვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა იქნება 9 საათი (განსხვავებულია მხოლოდ მე-9, მე-10, მე-11 კვირა - 10 საათი, მე-14 კვირა - 4სთ გამოცდა). ლექციები ჩატარდება კომპიუტერულ აუდიტორიაში (კოლეჯის B გარემოში). პროგრამის მიმდინარეობისას მსმენელები ფასდებიან პროგრამის დასრულებისას, ერთხელ. შეფასება მოიცავს შესწავლილი თემატიკის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას პროექტის მომზადებისა და წარდგენის გზით. პროგრამაზე გამოყენებული იქნება ისეთი სწავლის მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა.

პროგრამის სწავლის შედეგები:

1. შეუძლია სტატიკური და დინამიური ვებ გვერდის აწყობა
2. შეუძლია ყველა მოწყობილობაზე მორგებული ვებ გვერდის აწყობა
3. შეუძლია ცვლილების შეტანა არსებული ვებ გვერდის კოდში
4. შეუძლია ინტერაქტიული ვებ გვერდის აწყობა
5. შეუძლია CSS-ის გამოყენება ვებ გვერდის სტილებისა და ანიმაციების შესაქმნელად

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:



პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა სახელმწიფოს მიერ აღიერებული **სერტიფიკატი**

ბექენდ დეველოპმენტი / Back End Development (Basic)



Backend

პროგრამის ტიპი: მომზადება

კვალიფიკაციის დონე: 3 - პროფესიული მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა: 12 კვირა (3 თვე)

საკონტაქტო საათების რაოდენობა: 79 საათი

კვირეული სასწავლო დატვირთვა: 6-9 საათი

პროგრამის მიზანი: „Back End development“-ის მიმართულებით მოამზადოს ისეთი კადრი, რომელსაც ექნება საბაზისო ცოდნა back end დეველოპინგში. აღნიშნული პროგრამა მსმენელს აძლევს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელიც შემდეგ დაეხმარება მას გაიდრმოს უნარები back end დეველოპინგის უმაღლეს საფეხურზე.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს პირები „Back End development“- ის მიმართულებით, დროის მოკლე მონაკვეთში. ყოველკვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა იქნება 6-9 საათი (1-8 სასწავლო კვირა - 6სთ, მე-9-11 სასწავლო კვირა - 9 საათი, მე-12 კვირა - 4სთ გამოცდა). ლექციები ჩატარდება კომპიუტერულ აუდიტორიაში (კოლეჯის B გარემოში). პროგრამის მიმდინარეობისას მსმენელები ფასდებიან პროგრამის დასრულებისას, ერთხელ. შეფასება მოიცავს შესწავლილი თემატიკის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას პროექტის მომზადებისა და წარდგენის გზით. პროგრამაზე გამოყენებული იქნება ისეთი სწავლის მეთოდები, როგორცაა: ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა.

პროგრამის სწავლის შედეგები:

1. იცის დაპროგრამების ენა PHP
2. შეუძლია PHP-ს ფუნქციებთან მუშაობა
3. შეუძლია მასივებთან და მასივის ფუნქციებთან მუშაობა
4. იცის სერვერზე ფაილებთან მუშაობის მეთოდები
5. შეუძლია სესიასთან მუშაობა
6. იცის MySQL მონაცემთა ბაზის პრინციპები
7. იცის MySQL მონაცემთა ბაზაში ცხრილების ურთიერთქმედების პრინციპები
8. იცის PHP-ში ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების პრინციპები
9. შეუძლია MY SQL-სა და PHP შორის კავშირის შექმნა და PHP-ს კოდის გამოყენებით მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის ამოღება, ჩაწერა და შეცვლა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:



პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გადაეცემა სახელმწიფოს მიერ აღიერებული **სერტიფიკატი**